

ე. თურქია
ერთიანი ვირტუალური გლობალური ბაზრის მართვა
სერვის-ორიენტირებული არქიტექტურით

რეზიუმე

განიხილება ერთიანი ელექტრონული გლობალური ბაზრის შექმნის ტექნოლოგია ebXML (ელექტრონული ბიზნესი გაფართოებული ფორმატირების ენის გამოყენებით), რომელიც ბაზირებულია სერვის-ორიენტირებულ არქიტექტურაზე და ქმნის ბიზნეს-პროცესების მართვის, ბიზნეს-მხარეების ურთიერთქმედებისა და ბიზნეს-ტრანზაქციების შესრულების ახალ და თანამედროვე ხერხებს განაწილებულ რეჟიმში. წარმოდგენილი ტექნოლოგია განკუთვნილია ელექტრონული ბიზნესის B2B (ბიზნეს-ბიზნესი) მოდელის პლატფორმისთვის და აწარმოებს საქმიანი პროცესებისა და დოკუმენტების უნივერსალური სტრუქტურის რეალიზაციას.

სტატიაში, პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე განხილულია ბიზნეს-მოდელისა და მონაცემთა ძირითადი კომპონენტების მოდელის გარდაქმნის მაგალითი შეტყობინების მოდელად XML ენის ბაზაზე.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ბიზნესი, ebXML პროექტი, ბიზნეს-ტრანზაქცია, ბიზნეს-მოდელი, სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა.

1 შინაარსი

ინტერნეტული ქსელის განვითარებამ წარმოშვა ბიზნეს-პროცესების მართვის ახალი და თანამედროვე ხერხები, რაც ბიზნეს-გარემოს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ბიზნესის გლობალიზაციის ფორმებში ვლინდება. ბიზნეს-გარემოს ინფორმაციული უზრუნველყოფა ეხება როგორც საქმეთა ბრუნვის, ასევე დოკუმენტ-ბრუნვის პროცესების მართვას, ხოლო ამ პროცესების სუბიექტებისა და ობიექტების ურთიერთობები ხორციელდება კორპორაციული ქსელისა და ინტერნეტ-ბიზნესის საშუალებებით.

დღესდღეობით თანამედროვე ინფორმაციული და პროგრამული ტექნოლოგიები მიმართულია სერვისული ფუნქციების დამუშავებისკენ ვებ-დანართების ფორმატში და მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საპრობლემო ობიექტების ავტომატიზაციისთვის უნივერსალური და ზოგადი ფორმების დამუშავებას. ასეთი ფორმების რეალიზაციის ბაზისია ე.წ. ღია სტანდარტები – WSDL, UDDI, SOAP, HTML, XML, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის პროცესების პროგრამული მოდულებისა და ფუნქციების გამოყენება და პროგრამული კოდის ტრანსფორმაცია მაღალი დონის ნებისმიერ პროგრამულ ენებში [1, 2].

როგორც კორპორაციული, ასევე ინტერნეტული ბიზნესი ხასიათდება მრავალპროფილური სტრუქტურით, აერთიანებს ბიზნესის ობიექტებსა და სუბიექტებს, მართავს მათ ცენტრალიზებულად და გააჩნია ბიზნესის მოდელისა და ლოგიკის მრავალგარიანტული წარმოდგენის ასპექტები. სწორედ, ასეთი რთული სტრუქტურის სისტემების ეფექტური მართვისთვის არის გათვალისწინებული ვებ-სერვისების წარმოების იდეა, რომლებიც ბიზნეს-პროცესების კუთხით უზრუნველყოფენ ისეთი მეთოდების ავტომატიზებულ დამუშავებას, როგორცაა საწარმოო რესურსების, პროცესების, ცოდნის მართვის მეთოდები და ა. შ.

უნივერსალურად დამუშავებული ფორმებისა და სტანდარტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს სისტემა ebXML (Electronic Business using eXtensible Markup Language - ელექტრონული ბიზნესი გაფართოებული ფორმატირების ენის გამოყენებით), რომელიც განკუთვნილია B2B (ბიზნეს-ბიზნესი) პლატფორმისთვის და წარმოადგენს ელექტრონული ბიზნესის წარმოების ხელშემწყობ სისტემას. იგი ქმნის საქმიანი პროცესებისა და დოკუმენტების უნივერსალურ სტრუქტურას XML ენის ბაზაზე [3].


ebXML წარმოადგენს ფუნქციონალური სპეციფიკაციების მოდულურ ერთობლიობას, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი მაშტაბის საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერი გეოგრაფული ადგილით განახორციელონ ბიზნესი. ფუნქციონალური შესაძლებლობების თვალსაზრისით ebXML ანხორციელებს:

- ბიზნეს-პროცესებისა და დოკუმენტების მოდელირებას;
- მონაცემთა გადაცემას ზოგად ფორმატში;
- სავაჭრო პროფილების განსაზღვრასა და საწარმოთაშორის ურთიერთობების გაფორმებას;
- საწარმოთა რეგისტრაციას, რეკლამას, ბიზნეს-პატივების მოპოვებას;
- ბიზნეს-შეტყობინებათა მომზადებასა და გადაცემას სემანტიკურად დაცულ გარემოში;
- საკუთარი დაცული და ჩაკეტილი ბიზნეს-სისტემების შექმნას.

ფაქტობრივად, ebXML პროექტის მიზანია ბიზნეს-მოდელის გარდაქმნა შეტყობინების მოდელად და ერთიანი ელექტრონული გლობალური ბაზრის შექმნა, სადაც ბიზნეს-ტრანზაქციების შესასრულებლად გათვალისწინებულია: სარეგისტრაციო ჟურნალისა და საცავის ფუნქციონირება, სადაც გროვდება განაწილებული ბიზნეს-სერვისები და ხდება ამ სერვისების ინტერფეისებთან,


საინფორმაციო მოდელებთან და საბიზნესო სისტემებთან წვდომის უზრუნველყოფა; ბიზნეს-პროცესებისა და მონაცემთა ძირითადი კომპონენტების მოდელის აგება, ბიზნეს-მხარეების ურთიერთქმედების პროტოკოლური პროფილის განსაზღვრა და შეტყობინებათა გადაცემის რეჟიმის უზრუნველყოფა (ნახ. 1).

ebXML –ში ბიზნეს-ტრანზაქციის შესრულება ტექნიკური კუთხით აღიწერება – XML-ენაზე,




ნახ. 1. ebXML-ის ფუნქციონალური მოდელის ფრაგმენტი

სადაც შესაძლებელია ბიზნეს-პროცესის განსაზღვრა (ნახ. 2 ა, ბ), რომელიც მოიცავს ბიზნესის სცენარს, პროფილს, ლოგიკას, დოკუმენტებს და ა.შ [1]. ნახაზზე 2 ა) და ბ) ნაჩვენებია მიმწოდებლისა და ნედლეულის მონაცემთა ძირითადი კომპონენტების აღწერა XML ენაზე ბიზნეს-პროცესისთვის "მომარაგება" და ბიზნეს-ტრანზაქცია "შეკვეთის" ფორმირება.



ნახ. 2 ა)



ნახ. 2 ბ)

3. ლიტერატურა

1. Kotok A., Webber D. ebXML: The New Global Standard for Doing Business on the Internet, 2001.
2. Erl T. Service-Oriented Architecture : A Field Guide to Integrating XML and Web Services, Brussels, 2005.
3. Jean-Marie Chauvet Services Web avec SOAP, WSDL, UDDI, ebXML Germany, 2002 .

Е. Туркия

УПРАВЛЕНИЕ ЕДИННОГО ВИРТУАЛЬНОГО ГЛОБАЛЬНОГО РЫНКА С СЕРВИС-ОРИЕНТИРОВАННОЙ АРХИТЕКТУРОЙ

Резюме

Рассматривается технология – ebXML (с применением языка расширенного форматирования электронного бизнеса) создания единого виртуального глобального рынка, который базируется на сервис-ориентированной архитектуре и создает новые и современные средства управления бизнес-процессами, взаимодействия бизнес-сторон и осуществления бизнес-сделок в распределенном режиме. Представленная технология предназначена для платформы моделирования электронного бизнеса B2B (бизнес-бизнес) и осуществляет деловые процессы и реализацию универсальной структуры документов.

На основе практического примера в статье рассматриваются примеры преобразования бизнес-модели и модели основных компонентов данных в модель уведомления на языке XML

E. Turkia

THE MANAGEMENT UNIFIED VIRTUAL GLOBAL MARKET WITH SERVICE-ORIENTED ARCHITECTURE

Summary

The ebXML technology (with application of the language of electronic business expanded formatting) of development of the unified virtual global market, being based on the servis-oriented architecture and creates new and modern means of the business processes management, correlation between the business parties and realization of the business deals in the distributive regimen is considered. The technology introduced is intended for the platform of modelling of B2B electronic business (business-business) and performs the dealing processes as well as the realization of the

documents universal structure. On the basis of the practical example the patterns of transformation of the business model and the one of the basic data components are examined in the present article.